

შპს საბურთალო მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს “საბურთალო მენეჯმენტი”

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(არააუდირებული)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და მსჯელობები	6
3. ძირითადი საშუალებები	14
4. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	14
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	15
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
7. მარაგები	15
8. გრძელვადიანი სესხები	15
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
10. ამონაგები	16
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
12. ფინანსური ხარჯი	16
13. სხვა შემოსავალი	17
14. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	17
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	221,566	219,420	119,944
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	4	2,606,900	-	-
		2,828,466	219,420	119,944
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	11,018	85,566	99,144
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	69,776	65,046	24,532
მარაგები	7	79,447	64,480	67,624
		160,241	215,091	191,087
მთლიანი აქტივები		2,988,707	434,511	311,244
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		392,758	-	-
გადაფასების რეზერვი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(400,615)	(217,500)	(389,518)
		(7,857)	(217,500)	(389,518)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	2,863,460	527,611	583,817
		2,863,460	527,611	583,817
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	109,140	97,251	107,670
საგადასახადო ვალდებულებები		23,964	27,149	9,275
		133,104	124,400	116,945
მთლიანი ვალდებულებები		2,996,564	652,011	700,762
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,988,707	434,511	311,244

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: ნელი ოდიკაძე /-----

6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს საბურთალოს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წლისთვის

		12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები				
გრძელადან აქტივები				
ძირითად საშუალებები	3	221,566	219,420	119,944
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	4	2,606,900	-	-
		2,828,466	219,420	119,944
მოკლგადან აქტივები				
ფულ და ფულად გათანაბრებულ ინსტრუმენტები	5	11,018	85,566	99,144
საგაჭროდა სხვა მოკლგადან მოთხოვნები	6	69,776	65,046	24,532
მარგები	7	79,447	64,480	67,624
		160,241	215,091	191,087
მთლიანი აქტივები		2,988,707	434,511	311,244
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		392,758	-	-
გადაფასების რეზერვი		-	-	-
გაუნაწილებელ მოგება / (დაგროვილ ზარალი)		(400,615)	(217,500)	(389,518)
		(7,857)	(217,500)	(389,518)
გადასახდელი ვალდებულებები				
გრძელადანი ვალდებულებები				
გრძელადანი სესხები	8	2,863,460	527,611	583,817
		2,863,460	527,611	583,817
მოკლგადანი ვალდებულებები				
მოკლგადანი სესხები		-	-	-
საგაჭროდა სხვა მოკლგადანი ვალდებულებები	9	109,140	97,251	107,670
საგადასახდა ვალდებულებები		23,964	27,149	9,275
		133,104	124,400	116,945
მთლიანი ვალდებულებები		2,996,564	652,011	700,762
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,988,707	434,511	311,244

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: ნელ ოდკაძე

/-----

ნ. თეთრაძე



27 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	10	3,047,565	2,414,202
თვითღირებულება		(1,522,625)	(1,041,453)
საერთო მოგება		1,524,940	1,372,749
სხვა შემოსავლები	13	36	706
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(1,533,585)	(1,165,960)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(9,263)	13,619
საოპერაციო მოგება		(17,872)	221,115
ფინანსური ხარჯი	12	(165,243)	(49,096)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(165,243)	(49,096)
მოგება დაბეგვრამდე		(183,115)	172,019
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(183,115)	172,019
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(183,115)	172,019

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: ნელი ოდიკაძე /-----

6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს საბურთალოს მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წლისთვის

6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილ შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილა

მოგება ან ზარალს და სხვა სრულ შემოსავლს ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	10	3,047,565	2,414,202
ოპერაციული ხარჯები		(1,522,625)	(1,041,453)
საერთო მოგება		1,524,940	1,372,749
სხვა შემოსავლები	13	36	706
ზოგადი მანდონის ტრანზაქციული ხარჯი	11	(1,533,585)	(1,165,960)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(9,263)	13,619
საშენიანო მოგება		(17,872)	221,115
ფინანსური ხარჯი	12	(165,243)	(49,096)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(165,243)	(49,096)
მოგება დაბეგვრამდე		(183,115)	172,019
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(183,115)	172,019
სხვა სრულ შემოსავალი:			
შემოსულობა მინისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოსაღები		-	-
მთლიანი სრულ შემოსავალი		(183,115)	172,019

წინამდებარე ანგარიშგება დატვირთულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდგომი პირის მიერ:

დირექტორი: ნელ ლიკაძე

/ *ნ. ლიკაძე*



27 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

შპს საბურთალო მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	-	-	(389,518)	(389,518)
წმინდა მოგება	-	-	172,019	172,019
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	172,019	172,019
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	(217,500)	(217,500)
წმინდა მოგება	-	-	(183,115)	(183,115)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(183,115)	(183,115)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	392,758	-	-	392,758
2023 წლის 31 დეკემბერი	392,758	-	(400,615)	(7,857)

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: ნელი ოდიკაძე /-----

6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს საბურთალო მენეჯმენტი
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წლისთვის


6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილ შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილა

საკუთარი კაპიტალის ცვლადების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	-	-	(389,518)	(389,518)
წმინდა მოგება	-	-	172,019	172,019
სხვა სრულ შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრულ შემოსავალი	-	-	172,019	172,019
გაჩივრულ დიდიდან	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	(217,500)	(217,500)
წმინდა მოგება	-	-	(183,115)	(183,115)
სხვა სრულ შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრულ შემოსავალი	-	-	(183,115)	(183,115)
გაჩივრულ დიდიდან	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	392,758	-	-	392,758
2023 წლის 31 დეკემბერი	392,758	-	(400,615)	(7,857)

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: ნელ ოლაკაძე

/ 



27 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საბურთალო მენეჯმენტი (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2017 წლის 12 აპრილს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა, N4. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 50% წილის მფლობელია: ეთერი ახალბედაშვილი პ/ნ 01019017298 და 50% წილის მფლობელია მედიკო ნადირაშვილი პ/ნ 01005008038.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და მსჯელობები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება N96-6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის საადრიცხო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის

განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისათვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2023	31/12/2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების აღგელამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მანქანა-დანადგარები	4-5
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთისა დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელმძღვანელო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელმძღვანელო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს;

ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელმძღვანელებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

ლივიდენდი

ლივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. ლივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია

შპს საბურთალო მენეჯმენტი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში.

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2022	243,639	2,559	-	-	246,198
შემოსვლა	49,455	-	-	-	49,455
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	293,094	2,559	-	-	295,653
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2022	(26,374)	(404)	-	-	(26,778)
პერიოდის ცვეთა	(46,878)	(431)	-	-	(47,309)
გაუფასურება	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(73,252)	(835)	-	-	(74,087)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	217,265	2,155	-	-	219,420
31 დეკემბერი 2022	219,842	1,724	-	-	221,566

4. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

	2023	2022
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში.	2,606,900	-
სულ	2,606,900	-

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	3,500	67,874
ეროვნული ვალუტა ბანკში	6,855	17,640
უცხოური ვალუტა ბანკში	663	51
სულ	11,018	85,566

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	33,910	39,388
გადახდილი ავანსები	35,867	25,658
სულ	69,776	65,046

7. მარაგები

	2023	2022
სხვა მარაგი	79,447	64,480
სულ	79,447	64,480

8. გრძელვადიანი სესხები

	2023	2022
გრძელვადიანი		
საბანკო სესხი	(2,863,460)	(527,611)
სულ	(2,863,460)	(527,611)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	78,247	50,189
მიღებული ავანსები	29,382	45,552
სხვა ვალდებულებები	1,511	1,510
სულ	109,140	97,251

10. ამონაგები

	2023	2022
მომსახურების გაწევა	3,047,565	2,414,202
სულ	3,047,565	2,414,202

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(491,051)	(280,303)
იჯარის ხარჯი	(236,673)	(182,993)
კომუნალური ხარჯები	(192,806)	(170,213)
ოფისის ხარჯი	(998)	(1,268)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(110)	(1,000)
სხვა ხარჯი	(564,639)	(503,405)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(47,309)	(26,778)
სულ	(1,533,585)	(1,165,960)

12. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	(165,243)	(49,096)
სულ	(165,243)	(49,096)

13. სხვა შემოსავალი

	2023	2022
არასაოპერაციო შემოსავალი	19,584	16,987
სულ	19,584	16,987

14. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(28,811)	(2,662)
სულ	(28,811)	(2,662)

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.